გიორგი სანიკიძე, ნინო კილურაძე, ლალი ფირცხალავა

# ისტორია

# 11

## მოსწავლის რვეული



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სახელი ________________________________________

გვარი ________________________________________

კლასი ________________________________________

# უძველესი ადამიანი. პირველყოფილი საზოგადოება
(პარაგრაფი 1–4)

## 1. განმარტეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები

ალეგორია

პასაჟი

ნოეს კიდობანი

ინიცირება

პრიმატი

პრიმიტიული

ინტენსიფიკაცია

ქონებრივი დიფერენციაცია

სტადია

**ნაყოფიერი ნახევარმთვარე**

**ოაზისი**

**რეკონსტრუქცია**

**ფეტიშიზმი**

**ტოტემიზმი**

**შამანიზმი**

## 2. ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲔᲗ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

### 2.1 ჩარლზ დარვინმა ჩამოაყალიბა თეორია:

ა) ადამიანთა შორის ომების მიზეზების შესახებ;
ბ) ცხოველთა შორის ურთიერთობების შესახებ;
გ) ბუნებრივი გადარჩევის შესახებ;
დ) ადამიანის ევოლუციის შესახებ.

2.2 „მარჯვე ადამიანს“ ადამიანის მსგავსი სხვა არსებებისგან გამოარჩევდა:

ა) მეტყველების უნარი;
ბ) ტვინის ზომა;
გ) ბრინჯაოს იარაღების დამზადების უნარი;
დ) ბინადარი ცხოვრება.

2.3 საქართველოში უძველესი ადამიანის ნაშთები იპოვეს:

ა) დავით გარეჯში;
ბ) სათაფლიაში;
გ) გონიოში;
დ) დმანისში.

2.4 „დიდი გამყინვარება“ დაიწყო:

ა) დაახლ. 50 ათასი წლის წინ;
ბ) დაახლ. 5 ათასი წლის წინ;
გ) დაახლ. 70 ათასი წლის წინ;
დ) ძვ.წ. მე-9 საუკუნეში.

2.5 ტომის წევრებს აერთიანებდათ:

ა) საერთო ენა;
ბ) კანის ფერი;
გ) საერთო ინტერესები;
დ) რელიგია.

2.6 მეზოლითი არის:

ა) შუა ქვის ხანა;
ბ) ადრე ბრინჯაოს ხანა:
გ) დედამიწის არსებობის „მეოთხეული“ პერიოდი;
დ) ძველი ქვის ხანა.

2.7 რომელი მარცვლეული კულტურის ნაშთები ჩნდება ნეოლითის ხანის საქართველოში?

ა) ბრინჯის;
ბ) სოიოს:
გ) ხორბლის;
დ) სიმინდის.

## 3. წინადადებებში გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვა

> უხუცესები, ტვინი, ჰაბილისი, ფუნქცია, აფრიკა, ევოლუციონისტები, ენა, მიწათმოქმედება, კლიმატი, ჰომინიდები, მოსახლეობა, დასავლეთ ევროპა, თემი, მილიონი, ნეოლითი, კომუნიკაცია

3.1 ყველაზე მეტი მომხრე ________________, სხვადასხვა გამოკითხვით, ________________ 70-80% ________________ ________________ ქვეყნებში ჰყავს.

3.2 ადამიანის მსგავსი არსებები – ________________ - ________________ რამდენიმე ________________ წლის წინ გაჩნდნენ.

3.3 ჰომო ________________ ადამიანისმაგვარი სხვა არსებებისგან გამოარჩევდა ________________ ზომა.

3.4 განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანთა შორის ურთიერთობებში ________________ საშუალებას – ________________ენიჭება.

3.5 ტომისა თუ ________________ თავკაცსა და ________________ მრავალი ________________ ჰქონდათ.

3.6 დღეს არსებობს აზრი, რომ ________________ ხანაში სტაბილურმა ________________ განაპირობა ________________ გაჩენა.

## 4. ჩაასწორეთ ტექსტში დაშვებული შეცდომები

4.1 ჩარლზ გორდონმა ჩამოაყალიბა თეორია ხელოვნური გადარჩევის შესახებ.

4.2 ადამიანის უძველესი სადგომები ამერიკის გარეთ აღმოჩნდა საქართველოში; აგრეთვე ინგლისში, ინდოეთში, იაპონიაში, ფილიპინებზე.

4.3 ადამიანის რწმენა-წარმოდგენებთან მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე ხელოსნობა.

**4.4** სახელი „მეზოლითური რევოლუცია“ გორდონ დარვინმა გამოიყენა 1950-იან წლებში.

**4.5** ადამიანთა რიცხვის ზრდა და მეტ-ნაკლებად დროებითი სოფლების გაჩენა გახდა ნაგვის დაგროვების მიზეზი.

## 5. რუკაზე ნომრებით აღნიშნეთ ქვეყნები, სადაც ნაპოვნია უძველესი ადამიანების ნაშთები.



**ქვემოთ ჩამოწერეთ ეს ქვეყნები და მიუწერეთ უძველესი ადამიანების სახელები (არსებობის შემთხვევაში).**

1. ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲗ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ

ოპტიმალური

________________________________________________

ანტაგონიზმი

________________________________________________

ლეგიტიმური

________________________________________________

მუმია

________________________________________________

ასიმილაცია

________________________________________________

სავალო კაბალა

________________________________________________

პერიფერიული

________________________________________________

ალიანსი

________________________________________________

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

**არენდატორი**

**დეფინიცია**

**დეპორტაცია**

## 2. შემოხაზეთ სწორი პასუხი

### 2.1 შარლ-ლუი დე მონტესკიე ერთმანეთისგან გამოყოფს:

ა) საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს;
ბ) აღმასრულებელ, სასამართლო და კონსტიტუციურ ხელისუფლებებს;
გ) სამეფო და საპარლამენტო ხელისუფლებებს;
დ) არისტოკრატიულ, დიქტატორულ და დემოკრატიულ ხელისუფლებებს.

### 2.2 მაქს ვებერის განმარტებით, სახელმწიფოს აქვს:

ა) საკუთარი მოქალაქეების ქვეყნიდან გასახლების უფლება;
ბ) უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ძალის გამოყენების უფლება;
გ) ძალის გამოყენების უფლება გარკვეულ ტერიტორიაზე;
დ) საკუთარი საზღვრების დადგენის უფლება.

### 2.3 ჰიქსოსების საბრძოლო ეტლს უწოდებდნენ:

ა) ძველი დროის არტილერიას;
ბ) ძველი დროის ტანკს;
გ) ჰიქსოსურ ფალანგას;
დ) ფარაონის ტახტს.

### 2.4 ეხნატონმა ეგვიპტეში შემოიღო:

ა) ახალი საგადასახადო სისტემა;
ბ) მითრას კულტი;
გ) მონოთეიზმი;
დ) ღმერთ ამონისადმი მიძღვნილი დღესასწაული.

### 2.5 ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი კანონთა კრებულია:

ა) ეხნატონის კანონები;
ბ) ხამურაბის კანონები;
გ) სარგონ დიდის კანონები;
დ) ნაბუქოდონოსორის კანონები.

### 2.6 ასურეთის იმპერიის დედაქალაქები იყო:

ა) აშური და მემფისი;
ბ) ბაბილონი და ნინევია;
გ) ნინევია და დურ შარუქინი;
დ) აშური და ნინევია.

### 2.7 ხეთების სამეფო ძლიერების მწვერვალს აღწევს:

ა) ძვ.წ. XIV-XII საუკუნეებში;
ბ) ძვ.წ. XVIII საუკუნეში;
გ) ძვ.წ. X-IX საუკუნეებში;
დ) ძვ.წ. VI საუკუნეში.

### 2.8 კოლხეთის სამეფოს ძლიერება აისახა:

ა) ძველბერძნულ მითში თეზევსის შესახებ;
ბ) ჰომეროსის „ილიადაში“;
გ) ძველეგვიპტურ წარწერებში;
დ) ძველბერძნულ მითში არგონავტების შესახებ.

### 2.9 ბაბილონი დაიპყრო:

ა) ძვ.წ. 738 წელს სარგონ დიდმა;
ბ) ძვ.წ. 539 წელს კიროს დიდმა;
გ) ძვ.წ. 1303 წელს ახეტატონმა;
დ) ძვ.წ. 499 წელს დარიოს I-მა.

2.10 აქემენიანთა იმპერიაში ადმინისტრაციულ-საგადამხდელო ოლქს ეწოდებოდა:

ა) ტოპარქია;
ბ) აპადანა;
გ) სატრაპია;
დ) სამარზპანო.

## 3. წინადადებებში გამოტოვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვა

იმპერია, სამხედრო, ტოპარქიები, აზია, მექანიზმი, ათენი, დაიაენი, ოპტიმალური, ჰიქსოსები, ურუქი, ტიგლათფალასარ I, აქემენიანები, პოლისი, ლეგიტიმური, ასურეთი, ეგვიპტე, გილგამეში, სახელმწიფო

3.1 არისტოტელე თავის ნაშრომში ________________ სახელმწიფოს შესახებ, ________________ საზოგადოებრივი მოწყობის ________________ და ბუნებრივ ფორმად მიიჩნევს.

3.2 სახელმწიფოს აქვს იძულების – „________________ ძალადობის“ ________________.

3.3 ძვ.წ. XVII საუკუნეში ________________ დაიპყრეს ________________ მოსულმა გაურკვეველი წარმომავლობის ტომებმა – ________________.

3.4 ძვ.წ. XXVII საუკუნეში შუმერების ერთ-ერთი ქალაქის, ________________ მეფე იყო ________________.

3.5 ________________ იმპერიას ეკუთვნის „გამომგონებლის“ პირველობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ________________ ხელოვნება და ________________ მართვის სისტემა.

3.6 ასურეთის მეფე ________________ ძვ.წ. 1112 წელს დაიწყო შეტევა ქართველ ტომთა გაერთიანების ________________ წინააღმდეგ.

3.7 ________________ იმპერიის არსებობა დიდწილად ემყარებოდა არმიას. სახელმწიფო დაყოფილი იყო სამხედრო ________________.

## 4. ჩაასწორეთ ტექსტში დაშვებული შეცდომები

4.1 ქადეშის ბრძოლაში ძვ.წ. 1247 წელს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ეგვიპტელები ფარაონ ეხნატონის სარდლობით და ასირიელები მეფე მუთავალის სარდლობით.

4.2 მდინარეებს ევფრატსა და ნილოსს შორის, დღევანდელი ირანის ტერიტორიაზე, ქალაქური ტიპის დასახლებები ჯერ კიდევ მეზოლითში ჩნდება.

4.3 ებრაელები „ნინევიური ტყვეობიდან“ სპარსეთის მეფე დარიოსმა გაათავისუფლა და ისრაელის ტომი იერიქონში დააბრუნა.

4.4 ძვ.წ. X- IX საუკუნეებში კოლხეთის სამეფომ თავისი ბატონობა გაავრცელა აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილზე და ასირიასთან ერთად გაანადგურა დიაოხი.

4.5 დარიოს I-ის მემკვიდრის, კამბისეს IV-ის დროს მიდიელებმა დაიპყრეს ეგვიპტე.

## 5. შეავსეთ ქრონოლოგიური ცხრილი

| წლები | მოვლენა |
|---|---|
| ძვ.წ. 1274 | |
| | ეგვიპტეში მეფობდა ფარაონი-რეფორმატორი ამენხოტეპ IV |
| ძვ.წ. XXVII ს. | |
| | ხეთებმა მიაღწიეს ბაბილონს და ბოლო მოუღეს ხამურაბის დინასტიას |
| ძვ.წ. 714 წ. | |
| | ურარტუს სამეფო გაანადგურეს მიდიელებმა |